სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080164629618924

№ 521

14 / თებერვალი / 2024 წ.

შპს „პალადას“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 2 და 5 თებერვალს წარმოდგენილ იქნა შპს „პალადას“ (ს/ნ: 205180472) 2024 წლის 2 და 5 თებერვლის №0202/2024-01 და №2202/2024-02 მომართვები (რეგისტრაციის №1217 და №1261), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. მიმწოდებელმა 2024 წლის 13 თებერვალს წარმოადგინა 2024 წლის 13 თებერვლის №13/02-01 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის №1588), რომლითაც მან გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2024 წლის 7 თებერვლის №399 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „პალადას“ (ს/ნ: 205180472) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2024 წლის 11 მარტს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „პალადას“ (ს/ნ: 205180472) 2024 წლის 12 მარტიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე